



№ 3

ყოველკვირეული ჟურნალი 1907 წ.

ფასი 10 კაბუკი

აკაკი ციცქაძეს საყურადღებო

იმ აგენტებს, რომელთაც ანგარიში არ აქვთ გასწორებული,  
„მალის“ რედაქცია უმორჩილესა თხლეს 1 და 2 ნომრების ანგარი-  
შები ახლავს გასწორენ, თვალს მე 4 ნომერი იმათ ადამ გამზადათ,  
რადგან იმ ადგილები სხვა განსტრიც მოითხმან.

აღნიშვნა ფულის გამოგზავნას დოკ ურობ არ უნდა.



ნულიგნების გამარჯვება.

## ა რ ჩ ე ვ ნ ე ბ ი

## I

კავკასია მხიარულობს,  
მეჯლისი აქვს გამართული,  
მაგრამ, ვაი, სტუმრებს შორის  
საქმე არის დახლართული.

ვინ იძახის: ეს-დეკი ვარ,  
ვინ იძახის — პატრიოტი,  
ვინ პროგრესისტს თავს უწოდებს,  
ზოგიც ირქმევს „დიკი როთ“.

უკელასა სურს პირველობა,  
უკელა თვისკენ ითლის დუმას,  
მაგრამ ვნახოთ ვის დაარქმევს  
ხალხი თავის ძვირფას „კუმას“.

ვის მიანდობს თამაღლებას  
და ვის დასვამს სუფრის თავში,  
ვინ გახდება ლირი იმის,  
რომ უმზერდეს მეფეს თვალში.

მხოლოთ ერთი ცუდი რამ სჭირო:  
ზოგიერთა მოწვეულებს  
შარს უდებენ პოლიციურს,  
მიკიბ-მოკიბ-მოხვეულებს.

მაგალითათ ეს-დეკს უთხრეს:  
„შენ ხარ მეფის მოღალატე  
და ამიტომ არა ლირს ხარ,  
დებუტატათ შენ რომ გახდე“.

პროგრესისტებს მიახახეს:  
„თქვენ ბძანდებით დემოკრატი,  
თუმც გაშვენებით ჩინ-ორდნები,  
ზოგიცა ხართ ადვოკატი.

მხოლოთ ჩვენ ვცნობთ მეფის  
ერთგულთ,  
ჰეშმარიტ რუსთ, ხულიგანებს,  
და იმათსა პირველობას  
თვით კანონიც კი გვიბრძანებს“.

## II

ვერის დაღმართს რომ ჩასცდები  
და გაივლი ხიდის ყურეს,  
იქ სახლია აღმართული,  
მარცხნივ მტკვარსა გადაყურებს.

ის ააგო ზუბალოვმა,  
უწოდებენ სახალხო სახლს;  
და ამ სახლსა შემორტყმიან  
ხულიგნები ბუზივით გარს.

ბლობათ არის პოლიცია,  
მცველი წესიერებისა,  
გოროდოვნი, დვორნიკები—  
ძენი ბიწიერებისა.

ზოგს უჭირავს დიდი კეტი  
და ზოგს თოფი ხიშტიანი,  
ზოგი არყით გალეშილა  
და გაპეკივის ხრინწიანი:

„ბატონებო, ხმა მიეცით  
ჰეშმარიტ რუსთ, ხულიგანებს,  
იმათ დაცვა-მფარველობას  
თვით კანონიც კი გვავალებს!“

ისმის კიუინ-ურიამული,  
სულ სხვა-და-სხვა სიმღერები,  
ეტყობათ, რომ მათკენ არის  
გამარჯვების იმედები.

## III

შუადღეა. მაღლა სერზე  
ზარბაზანმაც იგრიალა,  
თავმჯდომარე კრებასა ხსნის  
და ივსება დიდი ზალა.

კარებში დგას დვორნიკთ რაზი,  
პოლიცია ხელმძღვანელობს,  
რომ არავინ არ გაბედოს,  
აქ ხმა მაღლა ჩახველოს.

მაგრამ ამას ვინ დაგიდევს,  
მეჯლისი აქვს ხულიგანებს  
და მათ ხელ-შეუხებლობას  
კანონიც კი მტკიცეთ ბრძანებს.

აქ რომ ერთი არაყსა ხსნის,  
იქ მეორე ეცილება  
და მესამეს სიმთვრალისგან  
შიგ ზალაში ეძინება.

გარეთ ისმის ხმაურობა,  
კონდახების თხლაშა-თხლუში,  
პროლეტარის კვნესა-ოხვრა,  
ვაი, ვუი, ვიში, უში...

ზურგში ურტყმებ თოფის კონდახს:  
„Вонъ, мерзавецъ, крамольник“<sup>ო</sup>  
და ამხანაგს გადასძახებს:  
„А ты его коли штик“<sup>ო</sup>.

იქაც ერთი მთვრალ ხულიგანს  
ხელით ძალათ მიათრევსა,  
რომ ერთი ხმა მიემატოთ,

გამარჯვება დარჩეთ დღესა.

მაგრამ ესეც ვეღარ შველის,  
ხმები შეხვდათ თითქმის სწორი  
და მესამე არჩევმებსა  
დაუნიშნეს დღეს სწორი.

## IV

აქა, დადგა დღეისწორიც  
კვლავ მოაწყდა ხალხი ყუთსა  
და აქაც, ვით წასულ კვირას,  
ვხედავთ საქმეს კვალად ცუდა.

კვლავ გაიყო მათი ხმები  
და ვერც ერთი ვერ გავიდა,  
თუმც თარეში ხულიგანთა  
ყველა საზღვარს გადავიდა.

და მესამეთ მოიწვიეს  
ხულიგანთა დიდი ხროვა,  
რა თქმა უნდა, ხულიგანი  
თავის დროზე ყველა მოვა.

## V

მოვიდენ და გაიმარჯვეს,  
აირჩიეს ყველა თვისი...  
საქმე მიღვა დეპუტატზე, —  
ვინ გაეთება ამის ლირსი?

## VI

კვირა დღეა. ხულიგნები  
გარს ერტყმიან საბჭოს დარბაზს,  
სიმთვრალისგან ბარბაცობენ,  
მით მოგვერიან ცოფსა და ბრაზს.

დუღს, გადმოდის აქ რეჩები,  
წყევლა-კრულვით ლანძღვით სავსე,  
და ასეთი არჩევნებში,  
მკითხველო, შენ დააფასე.

რაღა ბევრი გავაგრძელო,  
მეც მომწყინდა ამის წერა,  
ხულიგნებმა არჩევნებში  
თავის გული მოიჯერა.

ისმის ურა და კიუნა,  
გიმნი „მრავალ უამიერი“;  
დღეს ეძლევა შვება-ლხენას  
კავკასიის რუსის ერი-

„ვიბორშჩიკი“ მეტის-მეტი  
სიხარულით ვეღარ დგება,  
ტიმოშკინი დეპუტატიც  
ხან დაჯდება, ხან ადგება.

შავროვი კი დემენტიევს  
სიხარულით პირს ულოკავს,  
გოროდცევი რეჩსა ამბობს  
და ტიმოშკინს ჯვარით ლოცავს.

იქით ჩვენი ხულიგნები  
თამაშობენ ტრეპაკასა,  
რაღა უნდა კავკასიას?  
რაღა უნდა რუსის ხალხსა?

მიმინო.

## დეპუტები

(საკუთარი სააგენტოსაგან.)

**ოზურგეთი.** ნიკოკი და მამა დავითი  
მშვიდობით დაბრუნდენ თფილისიდან. მოელი  
ოზურგეთის ვაჭრები ნატანების ხიდთან მიე-  
გებენ და პურ-მარილი მიართვეს. მამა დავით-  
მა სამადლობელი პარაკლისი გადაიხადა სო-  
ბოროში.

**ქუთაისი.** ქალ. ოზურგეთის „ვიბორშჩი-  
კი“ ვ. ხუნდაძე ქუთაისის საგუბერნიო „ვი-  
ბორშჩიკა“ კრებაზე არ იქნა არჩეული დუ-  
მის დეპუტატთ.

**ქუთაისი.** ნ. ნიკოლაძე და ი. მეუნარგია  
დამარცხენ „ვიბორშჩიკა“ საგუბერნიო კრე-  
ბაზე. ფოთში დიდი მწუხარებაა.

**ბათომი.** დუმის დეპუტატთ ერთხმათ  
არჩეულ იქნა უგანათლებულესი გენერალი  
პრ. შერვაშიძე—უკიდურესი მემარცხენე.

**ოზურგეთი.** ოზურგეთის ვაჭრები დეპუ-  
ტაციას აგზანენიან ნამესტნიკან და ოხოვენ  
ბ. ერმოლოვის თავის ადგილზე აღდგენას. ვ. ვ.  
ხუნდაძემ პროტესტი გამოუცხადა ვაჭრებს მა-  
თი ასეთი ხულიგანური განძრახვის წინააღმ-  
დევ.

## ახალი ამბავი

12 ოკტომბერს რუსთა კურის ამომრ-  
ჩევლებმა გამართეს სადღესასწაულო სადღლი.  
ტოლიუშაშათ ერთხმათ აირჩიეს მ. გოროდცე-  
ვი. ხულიგანთა ორკესტრი „გარმოშკას“ უკ-

რავდა. ამომრჩევლებმა სათითაოთ „ტრეპაკა“ ჩამოუარეს. ღვინის მაგივრათ მოსკოვიდან გამოწერილ „მონოპოლიასა“ და სიტოვის არაყასა სვამდენ. ოვითეული სადღევრელო დედის გონებით თავდებოდა. ოვისი ბრწყინვალე გამარჯვება კრუშევანსა და პურშკევის დეპეშით აცნობეს. როცა ერთმანეთს ველირ ცნობდენ, გრინგუტის ხსოვნას სიმთხვალისაგან პირვე წაქცევით პატივი სცეს. სადილი „ვეჩნაია პამიატით“ დასრულდა.

14 ოკტომბერს რუსის ნაცინალისტებმა და პატრიოტებმა, რომელთა საზოგადო სახელი ხულიგნებია, შეკრეს ბლოკი და საერთო ძალით გაიყანეს დუმის დეპუტატთ პრიკაშჩიკი „ტრიმოშა“ — კაცი ფრიად უვიცი და გაუნათლებელი. გორკოდცევი და შავროვი გაშვეს.

15 ოკტომბერს „ისარის\*“ რედაქციაში შავი ბაირალი გამოკიდეს და თანაჭრომლებმა მკლავზე შავი ლენტები დაიკერეს ნიშნათ იმ მწუხარებისა, რომ მესამე სათათბიროშიაც ჩვენი ქვეყნიდან სოციალდემოკრატები გვიდენ და საქართველოს ერი გადაგვარების გზას დაადგა.

ხულიგნების გაზეთ „გოლოს კავკაზია“ ჰეტერბურგიდან დეპეშით ატყობიებენ, რომ ჩვენს დეპუტატს გზაზე არაყი არ გამოატანოთ, ვაგონებში სკანდალი რომ არ მასთინოს და თავისი პიროვნება ხელშესახებლათ არ გახადოსო.

ქუთაისიდან გვწერენ, რომ ქუთაისის თავად-აზნაურობამ და ბურუუზიამ სამი დღით მარხვა და გლოვა გამოატაღა ნიშნათ იმ მწუხარებისა, რომელიც მათ ს. დ. გეგეთიშვილის დეპუტატთ არჩევით მიადგათ.

კუკიის სასაფლაოს მიდამოებში ერთი ალიაზოთი ატებილა: განსვენებულ გუგუშვილსა და ლოლაძეს ბევრი „კრამოლნიკი“ ამოუჩნიათ საფლავებში. როგორც „გოლოს კავკაზია“ გადმოგვცემს, ამათ შავი რაზმის შედეგენა მო-

უწადინებიათ „კრამოლნიკების“ საფლავიდან ამოსაყრელათ.

ალექსანდროპოლიდან გვწერენ, რომ რაღანაც მესამე სათათბიროს „ვიბორშჩიკების“ არჩევნებში არც მუშას და არც მოქალაქეს მონაწილეობა არ მიუღიათ და სულაც არ გამოცხადებულიან არჩევნებზე. არჩევნების თავმჯდომარეს ქალაქის თავს ბ. ტიგრანოვს თავის თავი იმოურჩევია „ვიბორშჩიკათ“.

გამოჩენილი „პოეტი“ ევგენი დვალი, პასუხის გებაშია მიცემული საგიუვთის უსტავის მეცუთე მუხლის ძალით; ბრალს სჯებენ „ეკალის“ სამი ნომრის დახვისათვის. ბრალდებულს დარცავს რაჭა ლეჩეუმ-სვანეთის ცრუვეჭილი პროკლამაცია.


### პრიაშვილის ფილმები

Мама! Мама! გენაცვალე,  
ჩემი გასკა თუ მოგიდეს,  
„Усталა“-თქვა, აგრე უთხარ,  
ეცადე, თომ არ მოწყინდეს.  
მე კი ასლა დავიძნებ,  
თორემ ისე დავიდალე,  
ცოტა თუ არ მოგისვენე,  
გერც კი „ვიკატაშებ“ ხეალე.  
სწორეთ მშენებელებაა  
Реакცია სულ დანდათან  
თორემ ააა სად გავდიდი,  
ასეთ დამაზ „გავალებეთან“.  
აფიცერები, რომელთ შიშით,  
ვერ ჩნდებიან რაზმელები,  
მოწიწებით ქედს მისრიან,  
გარდ-კოკობის მნახველები.  
ერთმა ტურთა „გავალერმა“,  
ადამიშაც კი ჩამიწერა:  
„მე მისრისნებ მტერთან თმში,  
თქვენ დამმართეთ გულის ძკერა“...  
ერთსაც აგერ ცხენი მოჟავს,  
„Погуляемъ часикъ два“-თ,  
Отказаться не прилично,  
„მერსი დუმკა“—უნდა ვთქვათ.

„Красавица, княжна, душка“—  
Нехьодим მე აც მასენებენ,  
ერთმანეთს ეცილებან,  
ერთ წევს ადარ მასენებენ!  
Боже мой! რა კარგია,  
სულ რომ აგრე იქნებოდეს!..  
კოდა, ვასკა, სერიოჟა,

ოზურგეთში დაწებოდეს...  
Мама, щипцы гадают,  
რა გქნა, დარ მეძინება!..  
საცა არის, ვასკაც მოვა  
და უჩემთ მოწეინდება.

ჯინჭარი.



რუსთა ჭურიის ამრჩევლებს პალიცია იფარავს გარეშე გავლენისავან.

## პროგინცია

**სოფ. წევა** (შორაპნის მაზრა). თქვენს მტერს ის დღე, რაც ჩვენებურმა ვექილ მა ილუვებამ ჩვენ დღე დაგვაყენ!.. დილიდან საღამოდის სოფელში ცოფიან ძალივით დარბის და, თუ კა სადმე ყური მოკრა, რომ ესა და ეს კაცი განმათავისუფლებელ მოძრაობაში მონაწილეობას იღებდაო, გაშინვე „ნახალნიკს“ დააბეჭდეს და საბრალო უდანაშაულო პირს ან ციხეში და ან არხანგელსკში უკრიას თვეს. ერთი სიტყვით, წევის გენე

რალ-გუბერნატორათ დღეს ალფეზა ბძანდება და ვაი იმისი ბრალი, ვისაც ის დააბეჭდებს. საკვირველი ის არის, რომ პირველ მოძრაობის დროს, იმასაც დაუწვეს სახლი. ახლა, როგორც ეტყობა, ახალი სახლის აშენებას ხნის ზურგზე ფიქრობს, მაგრავ დასცალდება თუ არა, ეს აღლახმა იც-ს.

არა ნაკლებს ნიჭე იჩენს ჩვენი სოფლის ფრიად განვითარებული და ფილოსოფოსი „უჩი-ტელი“ ბესო. თავის შეგირდებს ისე შეაყვარა თვე, რომ ბავშვები დილიდან საღამოდე აღარ სცილდებიან სკოლის ეზოს, რა არის, სახლშიარ

წავიდენ და საქმე არა გააკეთონ რა. თვითონ „უჩიტელი“ ბესო კი დილის 8 საათიდან ნაშვადლენის ორ საათამდე „ოტბუსკით“ სარგბლობს და უბატრონოთ დარჩენილი ბავშებს თამაშობას აჩვენს

### შანდ—გარ.

**ქ. ალექსანდროპოლი.** აქ დაარსდა ახალი პარტია, რომელიც წერილებით ფულებს აგროვებს. ამას წინეთ ვინმე მდიდარ ბალდასაროვს წერილი მიწერეს, რომლითაც 50 ათას მანეთსა თხოვდენ და ხუთი დღის ვადას აძლევდენ, მაგრამ იმედი გაუცრუვდათ და ფული ვერ მიიღეს. ამით გაბრაზებულმა პარტიამ მეექვებს დღეს სხვა ზომას მიმართა. როცა ბალდასაროვმა დუქანი დაკეტა და სახლში მიდიოდა, წამოეწია მასო თხი შეიარაღებული კაცი, რომლებმაც უბრძანეს ხმა არ ამოელო, ჩასვეს ფაიტონში და სადღაუც გააქანეს. აქეთ ეცენ, იქით ეცენ პატრიონები, მაგრამ ჩვენი აკოფას კვალიც კი ველარსად ნახეს. მერვე დღეს, როგორც იყო, აღმოჩნდა ბალდასაროვი. მის გათავისუფლებაში იმ 50 ათას მანეთს ითხოვდენ, რომელიც წინათ ქონდათ მოთხოვილი. მეტი გზა არ იყო, გადიხადეს ეს ფული და ბალდასაროვი მეთორმეტე დღეს გაათავისუფლებს, მაგრამ ვაი ამ გათავისუფლებას! საწყალი აკოფა ველარც კი იცნეს, ისე გამხთარიყო. შეიქნა განმიება და დაატყვევეს წვრილი კრედიტის ბანკის დირექტორი ვაგან ჯალალოვი, რომელსაც 20,000 მანეთი აღმოაჩნდა; ამასთავე დაატყვევეს კიდევ სხვა 3 კაცი, რომელთაც აღმოაჩნდათ 1ია, სადაც მდიდრების გვარები ეწერა და შესაგროვებელი ფულების ჯამი 3 მილიონ მანეთს უდრიდა, მაგრამ ვერ იგემეს, რადგან საიდუმლო ადრე გამოუშლავნდათ და ადრევე მახეში გაებენ.

### რაჭველი მირონა

სოფ ფხვენისი (გორ ს მაზრა). რა არის ისეთი უბედურება, რომ ჩვენს სოფელს არ ენახოს და არ გამოეცადოს!.. ეგზეცუცია, უზომო და უსამიროლო ხარჯების გადახდა, ადგილობრივი მამასახლისის ბატონო-

ბა და რეპრესიები,—ყველაფერი ეს ჩვენთვის ჩვეულებრივი მოვლენაა, მაგრამ რაც დღე ქრისტეს მიერ სულიერმა მამა ო. ოქ—ძემ ჩვენ დაგვაყენა, ეს კი ყველაზე მეტი და საგრძნობელია. ამ ღიაბიან სულის წამშემედს ჯვრის მაგივრათ აულია ხელში დაგლეჯილი ურული მათრახი და მისი შემწეობით გაბედულათ დაღადებს: „შვილნო ჩემნო! მეყო მე თქვენი ამჟენი პატივის ცემა, შეხეთ ჩემს ფარჩის ანაფორას, როგორ ხუნი შეეპარა... აი, ვხედავ გარშემო, რომ თავად-აზნაურობა-მაც, პოლიციამაც თავიანთი საქმე კარგათ მოაწყეს, ძველებურათ შეუდგენ თავიანთ ბატონურ ცხოვრებას და ჩემი (ხელს დაიკრამს მუცელზე) გაბერილი, გაუმაძლარი მუცელი კი თანდათან ვიწროვდება; მე მეგონა, თქვენი ერთობის ძახილით ჩემს თქვენდამი სამსახურს ისრე რიგათ დააჯილდოვებდით, რომ დეპუტატთა მაინც ამომირჩევდით სახემშიფო დუმაში, სადაც ჩემზე ნაკლები იყვნენ გაგზავნილნი და მე კი (წვერზე ხელის ჩამოსმით), რომელიც ღვთის სახეს ვატარებ, არავითარ პატივცემას არ ვპოვებ თქვენს შორის“.

ამ სიტყვების შემდეგ შეჯდა თავის სამფეხა ცხენზე და ინახული ადგილობრივი მამასახლისი. მამასახლისი, რა თქმა უნდა, მაშინვე შეუდგა მღვდლის თხოვნის სისრულეში მოყვანას. ის ფიცხლავ გაემგზავრა სტაუნიკებისა და მღვდლის თანხლებით ფხვენისაკენ. იქ მისვლისთანავე შეუდგენ თაუგის საქმეს. თუ დღემდის კომლი აძლევდა კოდს, ახლა განურჩევლათ თთი ჩანახიდან ორ კოდამდე აკრიფეს. შეიქნა კიუინა და ცემა-ტყეპა მათრახებით; ხალხმა აქეთ-იქით იწყო გაქცევა. მამასახლისი და მისი სტრაუნიკები ტეხლები კარებს და გამოქონდათ ხორბალი, რამდენიც კი სურდათ.

განსაკუთრებით გულ-საკლავი იყო ის სურათი, როდესაც კერძო ინტერესით მამა ო. ქ—ძემ მიიყვანა პოლიციია ერთ დანგრეულ სახლთან, სადაც ერთი მოხუცი, მხნე მამა თავის მშეგრ წვრილ შვილებთან ერთათ გოდორას ჩხლართავდა; ხმის კანკალით დაქუდის მოხდით მიესალმა მიმხდურთ საბრალო, მაგრამ გაისმა მამასახლისის მრესხან ხმა: „ჩემ—

რა, შე ქოფაკო, დრამა მღვდელს!“ შევარდენ სახლში, არწყეს ცხრა ჩანახი და მეათე, რომ არ ათავდა, კისერში წაკვრით მოატანის საწყალს ერთი ლობის ქოთანი, რომელშიაც ოლაო (ცომი) ქონდა და ისიც წაიღეს.

როდესაც გული იჯერეს და აკრიფეს რაც უნდოდათ, ღვდელმა მამასახლისის პატივსაცემათ გამართა კარგი საღილი. აი, რა დღე დაგვაყენა ქრისტეს მაგიერმა, სულიერმა მამამ!.. მაგრამ, წყევლა და კრულვა, ზიზღი და ფურთხი არ გამოელევა ამ სულის მტერს მის მიერ აწილებული „სულიერი უვილებისგან“.

### გვრიფი

#### პვირიდან-კვირამდე

რუსთა კურის „ვიბორგშიკების“ არჩევნები, სახელმწ. სათათბიროს დეპუტატების არჩევნები: თფილისში, ქუთაისში და ბათომში. „ეშმაკის“ ეშმაკობა

ეს კვირა სულ არჩევნების კვირაა და ჩვენც ამაზე ლაპარაკით უნდა შევაწყინოთ თავი ჩვენს მკითხველებს.

ამ თვის თერთმეტს მესამე ჯერ და უკანასკნელათ იყო დანიშნული რუსთა კურის „ვიბორგშიკების“ არჩევნები არჩევნების საბოლოო შედეგი წინდაწინვე ცხადი იყო ყველასათვის. წინა არჩევნებზე „კეშმარიტი რუსები“ ორათ იყვენ გაყოფილი და ცალ-ცალკე მოქმედებდენ, მარა ეს ისე მხოლოდ დროებითი ცულლუტობა და თვალთ-მაქუმბა იყო. როცა დადგა განკითხვის უკანასკნელი დღე, — თვალთ-მაქუმბამ ადგილი დაუთმო „კეშმარიტ ბატრიოტობას“. „ძვა ძმისთვისო, ამ დღისთვისის“ — დასძახეს და ყველა ჯურის ხულინები შეეწებენ, შეესისხლორცენ ერთმანეთს, ვითარცა ღვიძლი ძმები. გაიხსნა კრება, დაიდგა ყუთები როგორც ხულინების კანდიდატების, ისე მათი მოწინააღმდეგებისაც და გაიმართა კენჭობია. მიაწვა ყუთებს ხალხი და რიჩინ-რაჩინი მიაცემია შავ კენჭებს „კრამოლნიკების“ ყუთებში. გათავდა კენჭობია, დათვალეს კენჭები, მარა, ვაი, ამისთანა და-თვლის!.. სულ ყორანსავით გაეყურეუმალებიათ იმ ოჯახ-დაქცეულებს აი ბატიოსანი კან-


დიდატები და თოვლივით გაეპინტილებიათ თავისი ძმა ბიჭები ხულინები. გამოცხადდა თუ არა ხულინების გამარჯვება, — შეიქნა ერთი ვარახელი და ვაი-უშველებელი, ტრიალ-ბზიალი, „ურას“ ყვირილი, მილოც-მოცვა, ტლაშა-ტლუშა... ხულიგანთა ბელადი შავროვი ტაბურეტზე აღის და „რეჩს“ ამბობს, მამა მღვდელი, ქვეყნის მტერი, გოროდცევი ჯვარით ხელში ლოცვა-კუროხევას უძღვნის ახალ არჩეულებს... აგერ ბუქნას უვლიან, ეგერ „ტრეპაკას“ ცეკვავენ; აგერ სიტოვის არაყს ეწაფებიან, ეგერ სარაჯოვისას ქლუ-შავენ; აგერ კუთხეში გორავენ, ეგერ საბრალოთ ფოროხევენ და... და დედას იგინებიან. მერე რა? ცუდია ამაში რამე თუ? სულაც არა. სიმთვრალეს სიფხიზლე მოსდევს და ერთ გამარჯვებას მეორე.

და აკი გაიმარჯვეს ხულინებმა მეორე ჯერაც. და ეს გამარჯვება ხომ სახუმრო საქმე არ არის!.. 14 ამ თვეს რუსთა კურის ამიერ-კავკასიის „ვიბორგშიკებმა“ აირიგეს სახელმწ. სათათბიროს დეპუტატით ვინცხა ბრიუვი ხულიგანი - პრიკაშჩიკი ტიმოშენი. აღნიშნულ რიკებს 12 საათიდან გაიმართა კენჭებით ბრძოლა. ხულინებმა მიიტანეს მოწინააღმდეგებზე მედგარი იერიში, მარა სასწორი არც ერთ მხარეს არ გადიხარა. შემდეგ საღამოს 6 საათზე მიუხდენ ხულინები მოწინააღმდეგებს, ზარა ამაოთ; უკანასკნელათ კიდევ მიიტანეს თავგანწირული იერიში და ახლა კი გარეკეს მოწინააღმდეგები მათი ციხე-სიმაგრეებიდან. ასე ცოდვილობით მოიგეს ხულინებმა ბრძოლა რაცხა ერთი-ორი ხშის უმრავლესობით და ცოტა დაუკლდათ, ტყავიც კინაღამ შეატიეს ჟედ!.. ამისთანა გამარჯვება კი დამარცხების სწორია, რადგან, როგორც ნათქვამია: „რა არის იგი სინათლე, რომელსაც ახლავს ბნელია“ - ა. და ეს იმ ღროს, როცა მთავრობა და კანონი ხელს უწყობს ბნელი ძალების ბატონობასა და გამარცხებას! ამ გამარჯვების დამარცხება ისაა, რომაშიერიდან ქვეყანამ გაიგო, თუ რამდენათ სუსტი ყოფილა თავის თავათ ჩვენ ქვეყანაში რუს ხულიგანთა ბნელი სამეფო. ამნაირათ, ხულინებს

ერგოთ დამარცხებული გამარჯვება.

და ამავე დროს აღვილობრივ მკიდრთ კი—ბრწყინვალე გამარჯვება. იმავე დღეს, ამ თვის 14, თფილისის გუბერნიიდან და ქ. თფილისიდან აირჩიეს სათათბიროს დეპუტატათ სოც.-დემოკრატი ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე. სოც.-დემოკრატი ბის წინააღმდეგ სამი იქნისის კანონმაც კი ვეღარ გაჭრა და სხვა მტრები აბა რაღას დაკლებდენ მათ!.. ხალხს რომ ეჭულება ძველი ზაკონ-კანონიც, მისი

კადეტების პროგრამის, მათი ტაკტიკის, მათი მელა-კუდობის, მათი ფარისევლობის და მათი ცბიერების ქება-დიდება. აქმ, აქმ, აქმ ისე, რომ სულ ცაში ააფრინა! . წამოდგა მის წინააღმდეგ აი ჩვენი კარლო ჩხეიძე, მარა რა წამოდგა!.. მიდგა აი წყნარი და ყუჩჩი ალამიანი, იმ დაქებულ ადვოკატს და გაუსწორა და გაუსწორა, ჩააჩინე და ჩააჩინე, სულ გააპუსტიაკა მისი ნათქვამი და ალაიაში გაარონია ის საბრალო! ახლა იმას არ იტყვი, მეორე ადვოკატმა, ი. ჯაბადარიშვილი აკამა




„ეშმაკს“ აკაი თავზე ლაფს ასხამს.

წარმომადგენლებიც, იმათი შორეული მოკეთებიც კი, ბურჟუაც, ფედერალიც, ავტონომისტიც, უბრალო დემოკრატიც და სხვა მათი ამყოფ-დამყოდნი, იქნენ ვითომ რაფერ გავიდოდა აი ჩვენი ადვოკატი ანდრონიკაშვილი. კაი მოგცეს ღმერთმა კაი ლამაზი მოლაპარაკე იგი ყოფილი, მარა ლაპარაკის მარტო სილამაზე რა გამოსადეგი!.. რავდ, ქილი ხომ არაა, ტრიფიალება რომ დავუწყო!.. ისე კი იმ ანდრონიკაშვილმა საშრელით მოიჯაყა თავი. წამოდგა, შენ ხარ ჩემი ბატონი, და დაიწყო

იმ პეტერბურგიდან ჩამოყანილ სადეპუტატო კაცს! ფური შენს კაცობასაც და შენს ადვოკატობასაცო,— მიაძიხა. მე რევოლუციონერი მეგონე და შენ თურმე გლახა კადეტი ყოფილხარო!.. იმის გამონენ ამრჩევლებმა „შავი მაგასო!“— ერთხმათ შესძახეს და ხელათ გააყვავ-ყორნეს ეს ახალ ჩამოსული სტუმარი. მეწყინა, ღმერთმა იცის, მათი ამისთანა უზღელობა, მარა რა გაეწყობა, ყველაფერი მოსავალია.

და, რა თქმა უნდა, ისიც მოსავალია, ქუთაისშიაც რომ სათათბროს დეპუტატთ სოციალდემოკრატი გეგეშვილი აურჩევიათ, მარა ეს სამაგიეროთ საწყენი კი არაა. იქინაც ქვე იყვნენ, ბატონო, ისე ქვეშ-ქვეშ დაფაულურებული აი ჩვენი ფედერალისტები, რომ არამც-და-არამც სოც.-დემოკრატი არ გასულიყო და „უბრალო პროგრესისტი“ აერჩიათ ვინმე, მარა თფილისში თუ კი მოკაცვეს თითო ამ „სოციალისტებია“, ქუთაისი ვითომ

მარა ბათომისა და სოხუმის ოლქების ამრჩევლების იმედი კი არ გაცრუებული და კიდევ ასრულდა. იმისთანა დიდი კაცი ამ ჩვენს კავკასიაში სხვაგან არსად აურჩევიათ. იირჩიეს უბრწყინვალესი ღენერალი პროკოფი შერვა შიძე. მერე და ამას ბეღნიერება ჯობია? მეფის ჩამომავლობის ღენერალი წავა პეტერბურგში მეფესთან, დაბძანდება ღუმაში და ურჩევს: ეს ასე ჯობია, ის ასეო; ეს ასე ვენაო, ის ისეო... ამისთანა დიდი კაცის სიტყვას,



„ეშმაკს“ ამათრახებს ბეჭრია.

გარისხედი „ეშმაკი“  
გვიყეფის, როგორც ფინა;  
ჩვენ დაგვცინის, მარა თვით  
უფრო დასცინა.

მისი გულის ტკივილი  
მსილოთ თრთ გრძშია,  
მისი გუნის დაქცა  
და მიტომ უეჭს გრძია.

რაღა ეგონათ? მე თუ მკითხავ, თფილისის იმედი არ მქონდა, თვარი ქუთაისის ღუბერნიაში სოც.-დემოკრატებს ვინ დაუდგება წინ!.. ტყურლათ შეაწუხეს აი ჩვენი ნიკოლაძე, „ვიბორშიკათ“ რომ აირჩიეს, რა არის, დეპუტატობა შეხვდებაო. ასე გცრუვდა მათი იმედი...

თქვენც მიხვდებით, მთავრობა არ გააპუსტ-აკებს და ასე, ღვთისა და მისი წყალობით, ქვეაშენდება აი ჩვენი გადაბუკული ქვეყანა. მოთხოვნით, ვეგო, კი მოითხოვს, რაც საჭიროა, მარა ცოტა იმის შიში კი მაქვს, ვაი თუ ნამეტანი გადააჭარბოს და ზედმეტი მოითხოვოს-მეთქი. მართალია, მე არ ვიცნობ თ-დ შერვა შიძეს, გარა

თურმედიდი მოწინავე კაცი ყოფილა!.. თითქმის მთავრობას „პოდნაზორს“ ქვეშ ყოლია აიდენ ხანს, მარა ახლა, რა უშავს, ქე მოხსნიან.

და „ეშმაკმაც ქე მოხსნა თავი მის საზან-დრულ გუდას და ააპრიჭინა მცხოვანი მგოს-ნის აკაკის სალანძლავათ!.. ნეტა რას ემართ-ლება ეს ნაცარ-ქექია ამ ბუმბერაზს? მარა ეს რა საკითხავია? ეშმაკი და მავნე სული იმის ეშმაკია, რომ ყველას წყეინებას ცთილობს, ყველას ეშმაკურ მახს უგებს. ეშმაკი, მოგეხ-სენებათ, გარისხული და შეჩენებული არსებაა და როგორც ასეთს, მას საღი ჭკუა-გონე-ბაც აღარ აქვს... თავდაპირველათ ცასა და ქვეყანაზე მონავარდეს აღა მარტო ცოდვი-ლი დედამიწა აქვს საცხოვრებლათ მიჩნილი და ისიც იქით-აქეთ დაბორგავს ამ ვიწრო ფარგალში ხან აღმიანის სახით, ხან ღიღ-ყუ-რა ცხოველისა და ხანდახან ფინიათაც კი იქ-ცვაა. და აი, ჯადოსნურათ გაფინიავებული „ეშ-მაკი“ გამომხტარა და უყეფს და უყეფს ბ. აკაკის, მარა რა უნდა დააკლოს სახელოვან მგოსანს სასაცილო რიფმაჩა? „ეშმაკს“ უსა-თურო საღმე ყური მოუკრავს, რომ ძველ წეს-წყობილებას და ძველი თაობის კაცებს ბრძო-ლა და გმობა უნდაო და ხელით აუთვალწუ-ნებია ბ. აკაკი. ცოტა მაიმუნურათ კი გაუგია განაგონი, თუ საწყენათ არ მიიღებს ამ შენი-შენას, მარა, რა გაეწყობა, „ეშმაკის“ მაიმუ-ნობა რა გასაკირალია. იმას რომ ესმოდეს, რომ ყველაფერი ძველი მოსასპობი და გადა-საფურთხი არაა, რომ ძველი თაობის პირები ყველა მავნებელი და გასაკიცხიარ არარიან, მაშინ ხომ ასეც არ გეიბახებდა თავს ბ. „ეშმაკი“!.. მერე გაბახება გაბახებას ქვია! გამომდგარა და რა-ლაც ძველი წიგნიდან უთავბოლოთ ამო-უკრეფია, შენ ხარ ჩემი ბატონი, რაღაც-რაღაც ეცხი, ვითომ, რა არის, აკაკის და-ვამცირებ საზოგადოების თვალში და მე მოღვაწის სახელს მოვიხევეჭო!.. ჩვენ მზათა ვართ გასაკიცხი გავკიცხოთ, ვინც უნდა იყოს ის — აკაკი თუ სხვა, ძველი თუ ახალი, მარა ახლა ერთი ვკითხოთ ბ. „ეშმაკს“, თუ რა ჩიდინა აკაკიმ საიმისო? თუ არაფერი, მაშ რას ერჩის ამ მცხოვან მგოსანს, რომ უღირ-

სათ ხატავს და იხსენიებს თავის სავარჯიშო ჟურნალში!.. მასალა თუ შემოაკლდა ამ ოჯახქორს, რაღა მაინცა და მაინც დახავს-ბულ წიგნს მიმართა, რომ იქიდან შეეკოწი-წებია რაღაცა დასაბეჭდი! მართალია, კუჭის საკითხი ძნელი გადასაჭრელია, მარა რისთვის არ იცოდა, რომ აკაკი უადგილოთ შეწუხების-თვის ლაფს გადასხამდა მას ეშმაკურ „პოდ-ტურ“ გოგრაზე და თანაც შეეკითხებოდა:

„რას წმენებ, შე საბრალო მურია? ხომ არ გშია და ან ხომ არ გწეურია? შენა უეფა მხოლოდ ერთი შერია, შეცი, შეცი, სასაცილო მურია!“

### ლიუციფერ

ნიკოლოზ (კარლო) სიმონისძე ჩხეიძე

14 ოკტომბერს თფილისის გუბერნიიდან მესამე სახელმწიფო სათაბიროში დე-პუტატათ აირჩის ნიკოლოზ სიმონის-ძე ჩხეიძე. ის ჩამომავლობით აზნაურია. დაიბადა შორაპნის მაზრის სოფ. ფუთში 1863 წ., სწა-ვლა მიიღო ქუთაისის გიმნაზიაში, საღაც ში-ნაურ გარემოებათა გამო სწავლას თავი დაა-ნება და გამოვიდა მე-8 კლასიდან. შემდეგ ნ. ს. ჩხეიძე თავისუფალ მსმენელათ შევიდა ოდესის უნივერსიტეტში, სადაც მხოლოდ ერთ წელიწადს დარჩა; აქედან 1889 წ. გადავიდა ხარკოვის სახეითლო ინსტიტუტში, საიდანაც სტუდენტების არეულობის გამო იმავე წელს დაითხოვეს. ამას შემდეგ ნ. ჩ—ძე დაბრუნდა სამშობლოში და ხელი მიყო თვითგანათლებას. ის განსაკუთრებული გულმოდვინებით შეუდგა მარქსისტული მოძღვრების შესწავლას, რომე-ლიც საფუძვლიანათ შეითვისა. შემდეგ ის გახთა ერთ-ერთ თვალ-საჩინო წევრათ ახალ-გაზდათა იმ ჯგუფისა, რომელსაც ჩვენში თავდაპირველათ „მესამე დასი“ დაერქვა, ხო-ლო შემდეგ-კი სოც.-დემოკრატიათ გარდაიქმნა. ნ. ჩხეიძე „მესამე დასის“ გამოცხადების დღი-დანვე საკმაოთ ცხოველ მონაწილეობას იღებდა ქართულ მწერლობაში; უმთავრესათ ის წე-რდა გაზ. „კვალში“ სხვა-და-სხვა ფევდონი-მით, უფრო ხშირათ-კი „ქართველი მკითხვე-

ლის” სახელით. ამ უკანასკნელი ფსევდონი მოთ მან დაწერა, სხვათა შორის, ცნობილი ბროშიურა „საუცხოვო ნიმუში ნ. ნიკოლაძის ლიტერატურულ მოღვაწეობისა“.

თავდაპირველათ ნ. ს. ჩერიძე მსახურობდა 1890 წლებში ჩვენში მომუშავე ფილოქსერის პარტიაში ჯერ შორაპნის მაზრაში და ბოლოს ქალ. ბათომში. როგორ ფილოქსერის პარტია გაუქმდა და უადგილოთ დარჩა, ნ. ს ჩერიძე იძულებული იყო კერძო გაკვეთილებით ეცხოვა. ბოლო დროს 1906 წლამდის ის იყო ბათომის სავათმყოფოს სამეურნეო ნაწილის გამგეთ და იმავ დროს ქალაქის საბჭოს ხმოსნათაც. ხმოსნათ აირჩიეს ის 1902 წელს; ამ თანამდებობაში დარჩა ოთხ წელიწადს და დაიმსახურა როგორც კარგი ორატორის, ისე საქმის კაცის ხახლი. 1906 წ. ნ—ს. ჩერიძე იძულებული გახდა ადმინისტრაციის მიერ დევნის გამო ბათომს მოშორებოდა. ამას შემდეგ იმან მთელი თავისი მოქმედება გადაიტანა სოც.-დემ. პარტიაში, სადაც დღევანდლამდე განაგრძობს მოღვაწეობას და, სხვათა შორის, ხელმძღვანელობს სოც.-დემ. გაზეთს. ნ. ჩერიძე ცნობილია, როგორც ენერგიული და მეტათ მუყიოთი მუშაკი, რაშიაც მას ხელს უწყობს მისი საკმაოთ მდიდარი ცოდნა და გამოცთილება. ამასთან პარტია მას ცნობს თავის საუკეთესო ორატორათ, რის გამო არა ერთხელ წამოუყენებია ის პასუხ-საგებ სიტყვის წარმოსათქმელათ. ყოველივე ამას გარდა, ნ. ჩერიძეს საქმით აქვს ბევრი სხვა საპარლამენტო ღირსებაც: სიღინჯე, გამჭრიახობა და სხვა.

### ბენია და ბეჭტია

ბენია. გაიმარჯვეს, ჩემო ბეჭტია, გაიმარჯვე...

ბეჭტია. ხულიგნებმა? ამას მე წინდაწინ ვამბობდი.

ბენია. შენ, ბეჭტია ჩემო, „ვიბორშჩიკების“ არჩევნებზე წინასწარმეტყველობდი და ახლა დუმის დეპუტატიც კი აირჩიეს უკვე — ვიღია მამალი ხულიგანი „პრიკაშჩიკი“ ტომშკინი.

ბეჭტია. რა გვარია? ტვინმოშლილი? კაი იმათ მოუვათ, კაი ვინმე აურჩევია!

ბენია. ხა, ხა, ხა, ხა... ტვინმოშლილი, თუ როგორ თქვი? კაცო, ტიმოშკინი როგორ ხელათ გადააკეთე ტვინმოშლილი?

ბეჭტია. რა გვარიც უნდა იყოს, სულ ეროვა, ცხადია, რომ ტვინმოშლილი, თვარა ვინცხა უსწავლელი „პრიკაშჩიკი“ რაფერ ბედას სახელმწიფო დუმაში დეპუტატათ წასვლას! რავა გოროდცევი ვერ გაგზავნეს მაინც?

ბენია. ტიმოშკინი გოროდცევზედაც უბნელესი ვინმეა და ბენი ძალების წარმომადგენელიც ყველაზე უბნელესი რომ იყოს, — ამას სამართლიანობაც მოითხოვს.

ბეჭტია. მერე რა? ერთი ბენი ყველას ხომ ვერ დააბნელებს ჩვენი ქვეყნიდან არჩეულებს? მას მისოვის ეყოფა თავისი სიბნელე და თავს ლაფის დასხმა, თვარა აქედან სოციალ-დემოკრატებიც ქე არიან არჩეული, კადეტებიც და დაშაკციუტუნებიც. მე შენ გეტივი, „რეჩი“ არ თქვას დუმაში ვინცხა ტვინმოშლილია!.. დეეგდება სკაზე ბაიყუშივით, დააბლეცს პირს და იქნება ისე სათვალავში ჩასარიცხათ, თვარა უსწავლელი, უვიცი და ბრიყვი თუა, რა უნდა თქვას იმდენ ნასწავლ და განათლებულ ხალხში? და თუ გინდა თქვას რამე, ხელათ ბურთს ჩასჩინან პირში ჩვენი სოციალ-დემოკრატები; მე შენ გეტივი მიერიდებიან მისი და არ ჩააჩუმებენ თუ? უბრალო ხულიგანს კი არა, მათ უფროსებსაც კი არ ერიდებიან. რავა, შარშან მეორე დუმაში მინისტრ სტოლიპინს არ შეაფრინდა პირში აი ჩვენი წერეთელი და უთხრა — შენ ასეთი და ისეთი ხარო.

ბენია. ფრთხილათ, ბეჭტია, ფრთხილათ, თვარა, მამა მიცხონდება, მაგისთანა ლაპარაკისათვის ციხეში გიკრავენ თავს, იქიდან ციმბირში და იქიდან კიდევ, ვინ იცის სად.

ბეჭტია. არა, ციხის შიშით მართალს არ დავმალავ, მარა ისე კი მომწყინდა ლაპარაკი სულ პოლუტიკაზე და სულ პოლუტიკაზე.

ბენია. თუ მოგწყინდა და ახლა შინაურ საქმეზე ვიღაპარაკოთ. ჩვენ დუმის საქმებს

ვაწყობთ და აგერ ვიღიაცა ბრიყება ჩვენი რე-  
დაქტია კინალამ დაგვანგრია თავზე!..

**ბეჭტია.** როგორ თუ დაგვანგრიამ! მა-  
გას ვინ გაბედავდა?

**ბენია.** ვინა და ვიღაც მელექსე ეგვიპტის მეფე და მისი მეუღლე შემოიჭრა რედაქციაში, როგორც  
ჯინჯველა ნაჭამი დათვი, ეცა გაზეთებს და  
მიფრიშ-მოფრიშა,—როგორ გაძედეთ, რომ არ  
მაქეთ, გენიოს მგოსნათ არ მომიხსენიეთ  
თქვენს გაზეთში და სასაცილოთაც კი მა-  
ლეთო!..

**ბეჭტია.** იმე, რას მეუბნები? | ვით დე-  
დასა, რომ იქინეთ არ შევხთი, თვარი, შენ

მიღის გაზეთები ორც ჩვენი და ორც სხვა. ეს  
სამი ცალი გადადებული გვქონდა, რომ მუქ-  
თათ გაგვეგზავნა თელავის ინტელიგენციისათ-  
ვის — შეიძლება კიოხვას შეეჩიოს და დაინ-  
ტერესდესო... .

**ბეჭტია.** იიმე, იიმე, იიმე!.. ნუ მატ-  
ყუილებ, თუ ძმობა გწამს!.. რავა, კახეთი  
ორი დიდი უეზდაა და სამი გაზეთიც არ მი-  
დის!? არა, ამას მე ვერ დავიჯერებ... ან კი რა  
დასაჯერებელია!..

**ბენია.** კახეთში არა და ქართლშიც არ  
მიღის, ჩემო ბეჭტია, უკრნალ-გაზეთობა სულ  
ცოტას მეტი.



ნუ მოუკვდები ჩემ თავს, ვიშპუნებდი ამ ჩემ  
ხანჯაჭს და კიტრივით გავაგდებიებდი, ვინც-  
ხაა იმ უბელურს, მის უტვინო თავს!

**ბენია.** ექმ, ბერტიი, მაგისთანა გიური სა-  
გიურეში უნდა იყოს, მაგრამ ჩანს, უპატრონო  
ყოფილა და მიტომ არის, რომ კახეთში გა-  
საგზავნი სამიოდე გაზეთი დაგვიფრიშა.

**ბეჭტია.** სამიოდე გაზეთის მეტი გაგ-  
ზავნილი იყო კახეთში და ამ ნაბილარზე გა-  
მოიჩინა თავისი რაინდობა ვინცხა დვალია  
თუ საზანდარი?

ბენია. არა, ბეჭტია, კახეთში სულ არ

**ბეჭტია.** რა ღმერთი გოუწყრათ, რა  
დაემართათ? ჩვენში ნასწავლები კი არა,  
სოფლის ხალხიც ვეღარ ძლებს იხლა უგაზე-  
თოთ. გურული და ქვეო იმერელი, ბატონი,  
მჭადასა და ღომს კი შეელევა და უგაზეთო-  
ბას კი ვეღარ მოითმენს, ოქვენ ნუ მოუკვდე-  
ბი ჩემ თავს. ჩვენში გაზეთის კითხვის სურ-  
ვილი ვერც ეგზეულიამ შეაფერხა, ვერც გა-  
დასახადებმა, ვერც ცემა-ტყებამ, ვერც დაჭე-  
რამ, ვერც ციხემ, ვერც ციმბირმა და ვერც  
კატორლიმ. რაც დღე მიდის, სულ მეტასა და  
მეტს თხოულობენ გაზეთსაც და უურნალსაც.

უნდა ნახო, როგორ სიხარულის კიუინას დასცემენ ახალგაზდები, როცა გაზეთები მიდის ქალაქებში და სოფლებში, როგორ იქრიშით მიღიან მეგაზეთის დუქანში, როგორ ხელში აკლეან ერთი მეორეს, როგორ ერთმანეთს ეცილებიან, ხელათ კითხულობენ... საყურებლათ მაღლია სწორეთ, კავს გულს გაუხარებს.

**ბენია.** ხო, მეც მინახავს იმერეთში ასეთი სურათი. საუცხოვო სანახავია სწორეთ! ჩვენში კი ხალხს ძინავს, ის მოდუნებულია, მას არაფერი ინტერესებს...

**ბეჭტია.** რაც, აი რევოლიუციის ამბები მანც არ ეინტერესებათ იმ ოჯახ-ქორებს! რამ მოუღო ასე ბოლო იმ საცოდავებს!..

**ბენია.** კახეთი, ჩემი ბეჭტია, შახ-აბაზმა რომ ააოხრა, მას შემდეგ აღარ წამომდგარა ფეხე!.. ხალხი დაბეხავებული და ბნელით მოცულია... კახელი გლეხი ისე არ გავს გურულ გლეხს, როგორც მე ჩინეთის ბოლონანს.

**ბეჭტია.** ცრემდი მდის მაგის გამგონეს, ჩემთ ძმობილო ბენია!..

ვის ვუთხრა ჩევენი სიგლახე? სასარცხოა და მცხვენია...

**ბენია.** ვარ და ვურ ამ უოფნის, ჩემთ ძვირფასთ ბეჭტია!.. სასარცხოას გახელები, თელავს სჯობია რეჭტია...<sup>1)</sup>

კუდაბზიკა.

### ზორილი შუთაისის ციხეიდან.

ორი წელიწუია მას შემდეგ, რაც ქუთაისის საფუბერნიო საპყრობილეს დუქნი ტუსალების ხელში და მათ სრულ უფლებაში გადავიდა. ტუსალები, განურჩევლათ ყველა კატეგორიისა და მიმართულებისა, ირჩევდნ თითო თვეობით სამ ნდობით აღჭურვილ პირს, რომლებიც თვის განმავლობაში აწარმოებრენ დუქნს. საქონელი იყიდებოდა იმ ფასებში, როგორც გარეთ ბაზარში. თუ დუქნი არმეს მოიგებდა, და იგებდა კი ეც, მონავები ფულით შემწეობა ეძლეოდა ციხის საავათმყო-

ფოში მყოფ მომაჟვდავ და აგრეთვე უსახსრობის გამო მშერ-ზშურვალე და უპატრიონო ტუსალებს. ამნარით ეს დუქანი დიდ დახმარებას და სამსახურს უწევდა გაჭირებულ და უსახსრო ხალხს. ავ საშვალებით რამდენიმე სიკვდილის კარამდე მისული ტუსალი მობრუნებულა მარა ციხის ახალი ზედამხედველის წყალობით საქმე სხვაფრივ დატრიალდა და ეს მცირე წყაროც გამოეცალა ხელიდან ქუთაისის ტუსალებს. ორი თვეა მას შემდეგ, რაც ახალი უფროსი აფშილავა მოევლინა ამ ციხეს. მან მოსვლის თანავე სასტიკი და შეუწყნარებელი დიკტატურა და რეპრესიები გაამეფა ციხეში. სხვა სიკეთეს გარდა, როზგიც კი შემოიღო ტუსალების დასასჯელათ. ერთ დღეს თავ-ს ხელით მიასიკვდილა ჯალათმა უფროსში თავისივე კანტორაში ტუსალი ცუკირიძე. ამავე დროს მას მედგარი იერიში მიქონდა ტუსალების დუქნზე და ცოლობდა ისეთი მიზეზის შეთხვეს, რომ ხელიდან გამოეგლიჯა დუქნის მართვა გამგეობა ტუსალებისათვის. ის მუდამ მოურიდებლათ გაიძახოდა: დედას გიტირებთ, დუქანს დაგიკეტავთ და თქვენც თქვენივე საქნებში გამოგახრჩოთ. აბა ვინ იქნება ისეთი ორ-თავიანი ტუსალი, მე რომ გამექცეს და გამეპაროსო ისე, როგორც ამას ქონებია აღგილი ჩემ მოაღვილესთან, ამაყათ იკვეხიდა აფშილავა. თქვენ რომ ფიქრობთ, ის მე ღამე სიზმრათ მაღვიაო და სხვა. ახალგაზდა აფშილავა, მოულოდნელათ გაბეჭინერებული, დაჩინტემლაკებული და თავიდან ფეხამდე შეიარაღებული ჩინოვნიერი ასეც უნდა მოქცეულიყო, ვინაიდან ის ოთხი თვის წინეთ უბრალო, ათ-მანეთიან მწერლათ იყო ამავე ციხეში. ამიტომაც ის ძლიერ მწვავეობა და მხეცურათ შეუდგა თავის სამსახურის ასრულებას. ცხრასი ტუსალის შევიწროება, მათი კვნესა-ტირილი მას კრიმანჭულათ ესმოდა. მიუხედავათ ისეთი სასტიკი რეპრესიებისა და სიფხიზლისა, ტუსალებმა გააკეთეს მიწაში ხვრელი და 26 სეკტემბერს შეუმჩნევლათ გაძვრა ამ ხვრელით 37 მძიმე დამნაშავე ტუსალი, უმეტესათ პოლიტიკურები. ხუთი კატორენიკები იმავე დღეს შეიპყრეს ციხის გარემო, ხოლო 32 ტუსალი კი უგზო-უკვლოთ მიი-

1) ქალაქია სპარსეთში,

მაღა. ბრაზ-მორეული ზედამხედველი დაიბნა და წილმა-უკუღმა დაიწყო ღრენა და კბენა და გაქ-ცეულების ჯინი ჩვენზე ამოიყარა. ისეთი სას-ჯელი, რასაც ქუთაისის ციხეში მყოფი ტუსა-ლები განიცდიან 26 სეკტემბრის შემდეგ, წარ-მოუდგენელი და აუწერელია. ცველა ჩვენი გასაჭირის აწერა შორს წაგვიყვანს და ამიტომ მოკლეთ ჩამოვთვლით ზოგიერთებს.

რაც აფშილავა დაინიშნა ციხის უფროსათ, მას შემდეგ არ ვიცით, რა არის აბანო, დაბანა-დასუფთავება და სხვა. 26 სეკტემბრის შემდეგ სრულიად მოგვისპონ ჩაი, შაქარი, ცხელი წყა-ლი, თუთუნი, სეირნობა, ნათესავების და ნა-ცნობების ნახვა და სხვა, ჩამოგვართვა ტუსა-ლების ღუქანი და არ ვიცით, თუ საით გააქ-როლა ჩვენი კუთვნილება ღუქნის საქონელი, 300 მანეთამდე ლირებული. ასე, ღუქანი ჩა-მოგვართვა ზედამხედველმა აფშილავამ და თვი-თონ გახნა ვიღაც ხალხის ნაძირალი ხონე-ლი გორდაძის ამხანავობით. ამასთანავე გამო-აცხადა ზედამხედველმა, რომ თუ რომელიმე ტუსალი გაბედავს და ღუქნის ძველებურათ დაბრუნებას მოითხოვს, გაშინ ხელათ ავამუშა-ვებ როჩეგებსო. მიუხედავათ იმისა, რომ ტუ-სალების სიმრავლის გამო ერთის ალაგს დღეს ციხეში ოთხი კაცია ჩამწყვდეული და ჰაერი მოწამლულია, ამას ისიც ზედ ერთვის, რომ მოე-ლი კვირაობით დგას საკედში სიბინძურით სავსე „პარაშუები“. ერთობ ჯოჯოხეთია დღეს ეს ციხე და აივსო მოთმინების ფიალაც!.. ასეთ ყოფნას ბევრით ჯობია ცხელი ტყვით დახოცა...

### ხუცუბნელი

#### დ ა ზ მ რ ტ ი რ ი \*)

(დასასრული)

ერთი წელიწადი უკვე გავიდა, რაც მე ჩემი მშობლები არ მინახას. და არც რამე გა-მიგია მათ შესახებ. არ ვიცი, ცოცხლებიარი-ან თუ დაიხოცენ. ვინ მოთვლის, ამ ერთი წლის განმავლობაში თუ რამდენი ტანჯვა-ვაება გამოვცადე!.. ვიმალებოდი ამხანაგების შემწეობით ხან ტყეში, ხან მინდორში და ხან ქალაქებში. ბოლოს, ეს იყო, ამ ქალაქშიაც

\*) იხილე „მექალი“ № 2.

მოვედი, იმ იმედით რომ აქ უფრო თავისუფ-ლათ ვიცხოვრებ-მეთქი, მაგრამ როგორც ხე-დავ, ცველა იმედები გამიცრუვდა. აქ ერთ ხანს ვიმალებოდი ერთ ღვინის სარდაფუში ჩე-მი ამხანაგის ნაცნობთან, მაგრამ ბოლოს იმა-საც შეეშინდა: ვაი თუ პოლიციამ გნახოს, შენი ვინაობა გაიგოს და შენ პირობაში მეც დამიჭირონ და გადამასახლონ. იძულებული ვიყავი, რომ მოუშორებოდი მას. იმ საათიდან ჩემი მდგომარეობა აუტანელი შეიქნა. სად უნდა წავსულიყავი? თითქმის ცველა ამხანა-გებს თავი მოვაბეზრე. მოწყალების თხოვნა მე არ შემეძლო, რადგან ვიცოდი რომ ჩემი-სთანა ჯან-მოელსა და შეძლებულს არავინ მიაქცევდა ყურადღებას; მეც როგორაც მე-თაკილებოდა სხვის ფეხქვეშ ჩავარდნა და მო-წყალების თხოვნა. მიუხედავათ ცველა ამაე-ბისა მე იმედს მაინც არ ვკარგავდი, სულით არ ვეცემოდი, რადგან ჩემ თავს ცოტათ თუ ბევრით თავისუფლათ ვგრძნობდი. დღეს ეს უკანასკნელიც მომისცეს. დღეს ყაჩალის სახე-ლით მომნათლეს, თუმცა ყაჩალობის არც ძა-ლი და არც ღონე შემწევს. ამ სიტყვებზე მას გამხთარი, გაყვითლებული პირის სახე ცეც-ხლივით აენთო, თავი ჩაღუნა და თვალებიდან ცრემლები გადმოყარა. მე დამშვიდებით ვუგ-დებდი მას ყურს და თვითოვეულ მის სიტყვას გულში ვიმარხავდი. მისმა ცრემლებმა ააშფო-თა და ააღელვა მთელი ჩემი ასება.

— მითხარი, გეთაყვა, როგორ იყო საქმე! მოუთმენლათ შევეკითხე.

— დღეს შვადღის ხანს ბაზარში მივედი, დაიწყო მან, იმ მიზნით რომ ვინე ნაცნობს შევხდები და პურის ფულს გამოვართმეც-მეთ-ქი, ამიტომ დიღხანს ვიდექი თვალებ გაშტე-რებული ერთი ქუჩის კუთხეში და გამვლელ-გამოვლელებს ვათვალიერებდი, მაგრამ ჩემი ნაცნობი კი არავინ ჩანდა და გული მიღონდე-ბოდა დიდი ხნის ლოდინით. ამ დროს იქვე ჩემს ახლოს მაღაზიაში შეცვიდენ რამოდენი-მე შეიარაღებული კაცები. შეიქნა ყვირილი, ხალხი დატროთხა და დაიფანტა. მეც გავიქეცი, მაგრამ დაშალვა ვეღარ მოვასწარი. თითქმის ცველა გოროლოვები და მეეზოვები მე დამე-დევნენ, რადგან თავდაპირველათ მე დამინა-

ხეს იმ ადგილას, სადაც ყაჩალები და ეცენ და, ეს არის, კიდევ დამიჭირეს.

შემა ფიქრებმა წამილო, თავი ჩავლუნე, გული სევდით ამეცსო და ხმის ამოლებას ვერ ვახერხებდი... ის საბრალო კი თვალებ ამ-ლვრეული შეცეროდა ჩემ დაბნეულ სახეს. ჩვენს ლაპარაკში შვალამეც გადავიდა და და-იწყო ახალი წელი. ჩვენს თვალებს ძილი არ ეყარებოდა. თუმცა ჩვენ გარშემო სქელი ქვის კედელი გვერტყა, მაგრამ იანვრის ყინვამ და სიცვეგმ იმაშიც შემოატანა და ჩვენს კბილებს შეუბრალებლათ დააწყებინა წაკწაკი. ჩვენ ვი-სხედით უბრალო ფიცრის ტახტზე ორივე ერთათ და სიცივისაგან ერთმანეთს ვეკროდით გასათფობდათ.

— რა ქვია თქვენ? ვკითხე.

— მე პავლეს მედახიან, ისე კი ივანე მქონა.

— ნასწავლი ხარ? რა ხელობის ხარ?

— ვიცი წერა-კითხვა, ხელობით დურ-გალი ვარ.

— შეიძლება გშია? მიუუბრუნდი მე.

— რა ვუყოთ, ძმაო, მერე, ეხლა ფუ-ლიც რომ მოგვცა, საყიდლათაც ვერ ვიშოვ-ნით, რაღან შვალამეზე გადასულია და ყვე-ლაფერი დაკეტილი იქნება.

— შეიძლება ძალიან გშია? შაურს რო-გორმე ვიშოვნით, მე მაქვს.

— არა, მომიგო ჩან, დღეს არაფერი მი-ჭამია, მაგრამ ამასაც გავუძლებ, ახლა მადაც დაკარგული მაქვს; ამელამ, როგორც იქნება, გავათენოთ და ხვალ ვიყიდოთ.

— დღეს თუ არაფერი გიჭამია, მაშ აგ-რეროგორ გაძელი გაკვირვებულმა ვკითხე მას.

— ეხ, ძმაო ასეთი დღეები ბევრი მინა-ხას, მაგრამ არ მომკდარვარ; შიმშილით სიკვდილი აგრე ადვილი არ არის: ჯერ ადა-მიანი კარგა ხანს გაწვალდება, დაიტანჯება და შემდეგ მოკვდება. ჩემია სიკვდილი, ტა-ჯვა-წვალების უნახავათ კარგია, მაგრამ რომ არ იქნება?.. მე გაკვირებული შევშტერებოდი მის გამხთარ, უფერულ სახეს, ყურს ვუგდე-დი მის მთრთოლვარე ხმას და არ ვიცოდი, რა მექნა და როგორ მენუგეშებია სიტყვით მაინც. ამ ყოფაში გავატარეთ ჩვენ ეს ცივი სუსხიანი ღამე. ჩემ თვალებს ძილი სულ არ მიკარებია;

ჩემ ამხანაგს კი გათენებისას მოეკიდა თვალებ-ზე რული.

გათენდა. ყინვით მოვერცხლილი პატა-რა გორაკების მწვერვალები მზის სხივებმა ოქროს ფრათ ააპრიალა. გაისმა აქა-იქ ზარე-ბის წერიალი, რომელიც მლოცველებს იწ-ვევდა ეკლესიაში ერთმანეთისთვის ახალი წლის მისალოცავათ. ქუჩიდან მოისმოდა მხიარული სიცილ-ხარხარი, ეტლების ხმაურობა და ყვე-ლაფერი ეს გულს მიკლავდა, ბრაზს მგვრი-და. ჩვენ ვთხოვეთ დარაჯს, რომ პური მოე-ტანა და იმანაც თავაზიანათ შეასრულა ეს ჩვენი თხოვნა. შიმშილით ღონე მიხდილებმა ხარბათ მივგარდით პურს. ახლა ჩემ ამხანაგს პირის სახეზე კმაყოფილება ეტყობოდა. ის თავჩაღუნული გლეჯდა დიდრონ ნაკრებს და პირში ხელით იტენიდა.

— ეს ახალი წელი, ეს ბეღნიერი დღე, რისთვის უნდა დავადამოთ ასე უბედურათ? ნაღვლიანათ წავიბუტბუტე.

— ეხ, ჩემო ძმაო, ჩემთვის არ არის ეს ახალი წელი, ჩემთვის კარგა ხანია გაქრენ ბეღნიერი დღენი...

ამ ლაპარაკში ვიყავით, როდესაც ჩვენ-თან შემოვიდა დარაჯი და მეორე ოთახში გაგვიყვანა, სადაც ბოქაული და უბნის რამ-დენიმე ზედამხედველი დაგვხდენ. ბო-ქაულის ბრძანებით მე გამანთავისუფლეს, ის კი ციხეში გაამგზავრეს.

— მშეიდობით, ძმაო! უუთხარი და ცრემლ-მორეულმა გავუწოდე ხელი ჩემ ამხანაგს; შეიძ-ლება კიდევ ვნახოთ ერთმანეთი; ვინ იცის, შეიძლება შენ კიდევ ეღირსო შენი მშობლე-ბის ნახვას.

— ამათ, ჩემთვის ყველაფერი გათავდა... იყო მისი უკანასკნელი სიტყვა.


### თ. ტრაპაიძე

#### „ეპალის“ ვოსტა.

**ლანჩხუთში**—გ. პ—ჟ—ლიას. მოგვაწოდეთ მასალა და თუ კარგი იქნება, დავბეჭდავთ.

**ოზურგეთში**—კუჭს. თქვენი გამოცანის გამო-საცნობი პირი გამოცნობილია დიდი ხანა და არ იბეჭდება.

**ჭიათურაში**—ჯოჯოსხეთის შიკიტანს. თქვე-ნი ლექსი არ დაიბეჭდება.



ხოჯივანქის სასაფლაო  
სამაშალ დღილია;  
ბოლიცია თუ გიფარავს,—  
თამაშობაც დღილია.

ჯიბგირები თამაშობენ,  
კარაულობს ბოლიცია;  
მანაგებები წილს უდებენ,  
რ აღდას, ტუტუცია?

ოკტ. 6-დან თფილისში გამოდის ყოველ-კვირეული იუმორისტული-კარიკატურებიანი ჟურნალი

## „ე 3 3 0“

ჟურნალში დაიბეჭდება გამოჩენილ მწერალთა და მოღვაწეთა სურათები მოკლე ბიოგრაფიებით, ლექსიბი, პოემები, მოთხრობები, ღრამები, კომედიები და სცენები; მოკლეთ და გასაგებათ შედგენილი წერილები პოლიტიკური ეკონომიკან, ისტორიული სურათები და წერილები ახლო წასულიდან და სხვ.

დასაბეჭდი წერილები სუვთათ უნდა იყოს დაწერილი ცალ გვერდზე. დაუბეჭდავი დიდი წერილები ინახება რედაქციაში ერთი თვის განმავლობაში, მოკლე წერილები კი არა. პასუხისათვის უნდა გამოიგზავნოს ფოსტის მარკები.

თანამშრომლებს შესაფერი პონორარი მიეცემათ.

ჟურნალი წლიურათ ღირს 5 ბან. ცალკე ნომერი 10 კაბ  
რედაქცია დროებით იმუფება თავართქილაძის სტამბაში: თიფლის. Семёновская ул.  
д. № 4. типогр. „Надежда“.

რედაქტორ-გამომცემელი პლატონ გახეჩილაძე.

Электро-печатня Т-ва „НАДЕЖДА“, Семёновская ул. д. № 4.